ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 44-61

"23" ივლისი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის № 10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-11 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016471) შეტანილ იქნას ცვილილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ხ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხ. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების პროცესში კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობის მიღება".

2. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს, „ჰ[13]" ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ[14]" ქვეპუნქტი:

„ჰ[14]) თბილისის შადრევან-აუზების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა."

3. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს „უ" ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ", „ქ" და „ღ" ქვეპუნქტები:

„ფ) განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების პროცესში კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობის მიღება;

ქ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების ეტაპზე გამწვანებისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის გამწვანების პროექტის შეთანხმება;

ღ) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების პროცესში კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობის მიღება.“

4. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს ,,ბ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები.

5. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტს „ს“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ტ“ ქვეპუნქტი:

„ტ) შადრევან-აუზების მოვლა-პატრონობისა და რეაბილიტაციის პროცესების ორგანიზება და კონტროლი.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**